05/03/2025

MES 9 25 0000240524

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 28. 02. 2025**
**სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 21:25 სთ**
**სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე**
**საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^{2}$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **გოჩა თუთბერიძე -** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
2. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**

3. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
10. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები (**სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ანი ბილანიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**
**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**

- ბორის ლეჟავა, ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში
- დიანა მჭედლიშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
- ნათია ქორქაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მენეჯერი
- ელენე ჯღარკავა, კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
- თათია მაისურაძე, ერთობლივი პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი

- რებეკა მარსენადალ რიმპლ, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების პროექტების მენეჯერი, გრენობლის მენეჯმენტის სკოლა
- ჩანდრა დალ პონ, სამაგისტრო პროგრამების დირექტორი, გრენობლის მენეჯმენტის სკოლა
- მარიამ აბესაძე, კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი
- თენგიზ ვერულავა, ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
- გიორგი ნატროშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
- ეკატერინე ნაცვლიშვილი, მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
- ეკა აკობია, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
- გიორგი ცხადაია, სტრატეგიული საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი
- ციცო ჩუბინიძე, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერს იტეტი**

- თემურ ტუნაძე (ხარისხის სამსახური)
- მზია შავაძე (საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი)
- ბესიკ ბერიძე (საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი)
- სონია ჩეჩელაშვილი (ბიზნესის ადმიინისტრირების ხელმძღვანელი)
- ლაშა ბერიძე (ბიზნესის ადმიინისტრირების ხელმძღვანელი)
- ნაილა ჩელებაძე (პრორექტორი)
- ია შალამბერიძე (იურისტი)
- ინეზა ფუტკარაძე (კანცელარია)
- ეკატერინე გელენიძე (კანცელარია)

**სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- ნატო გენგიური, პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი;
- თამარ ვეფხვაძე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
- კონსულტანტი;
- ნაირა გალახვარიძე, ასოცირებული პროფესორი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
- დოდო ჭუმბურიძე, ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნათია კოპალეიშვილი, ასისტენტ პროფესორი;
- გიორგი ფხაკაძე, უნივერსიტეტის ადმინაისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;

**აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა**

1.
ბ) მერაბ ხოხობაია (წევრი);
გ) თამთა ლეკიშვილი (წევრი);
დ) სანდრო ტაბატაძე (წევრი);
ე) ნათია დაღელიშვილი (წევრი);
ვ) ლიკა კვინჩია (წევრი)."

2.
ბ) ნანული ოქრუაშვილი (წევრი);
გ) ზურაბი აზნაურაშვილი (წევრი);
დ) ხათუნა საგანელიძე (წევრი);
ე) თინათინ ჟორჟოლიანი (წევრი);
ვ) სოფიო უგრეხელიძე (წევრი);
ზ) ნინო ალავიძე (წევრი)."

3.
ბ) ეკა ლეკაშვილი (წევრი);
გ) ეკატერინე ზაქარაძე (წევრი);
დ) ია ნაცვლიშვილი (წევრი);
ე) ანა მჭედლიშვილი (წევრი).

4.
ბ) ეკა ლეკაშვილი (წევრი);
გ) ნათია სურმანიძე (წევრი);
დ) ია ნაცვლიშვილი (წევრი);
ე) ანა მჭედლიშვილი (წევრი).

5.
ბ) თამარ ჩხეიძე (წევრი);
გ) ნინო სილაგაძე (წევრი);
დ) თამთა ლეკიშვილი (წევრი);
ე) სანდრო ტაბატაძე (წევრი);
ვ) გიორგი ფარეშიშვილი (წევრი).

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარემ - გოჩა თუთბერიძემ.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**
**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) "სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "სტრატეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის

ა კ რ ე დ ი ტ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო და " საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის" სამაგისტრო და „ხელოვნების მენეჯმენტის და კულტურის პოლიტიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- დიახ

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომ „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (314, 18/11/2011) და „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო (120, 12/09/2018) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ უფლება მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლა გააგრძელონ იმავე საგანმანათლებლო პროგრამებზე და ისარგებლონ სახელმწიფო დაფინანსებით (2025 წლის 18 ივლისამდე).

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (314, 18/11/2011) და „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო (120, 12/09/2018) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გააგრძელების უფლების მინიჭების შესახებ.
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) "სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო, "სტრატეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის“ სამაგისტრო და „ხელოვნების მენეჯმენტის და კულტურის პოლიტიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო** (314, 18/11/2011) და **„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო** (120, 12/09/2018) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესახებ.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა**

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა ქეთევან ინანაშვილმა დააყენა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო (240 კრედიტი) და „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნულის დასახელებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის საგანმანათლებლო პროგრამებმა 2025 წლის 25 თებერვალს აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, კლასტერის ვადით, გაიარეს აკრედიტაცია, როგორც ახალმა საგანმანათლებლო პროგრამებმა, რადგან, ძველი პროგრამები მოდიფიცირდა.
გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ე. წ. "ძველი" პროგრამები დაწესებულებაში უკვე ხორციელდებოდა არსებული სახით, დამამთავრებელი სემესტრების სტუდენტები აღმოჩნდნენ არასახარბიელო მდგომარეობაში, რადგან მათ მოუწევთ სასწავლო სემესტრების დამატება, შესაბამისი კრედიტების ათვისების მიზნით. შესაბამისად, დაწესებულებამ ითხოვა, საბჭოს მხედველობაში მიიღო და გაეთვალისწინებინა სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და აღნიშნულ ე. წ. "ძველი" საგანმანათლებლო პროგრამებს გახანგრძლივებოდათ ვადა ერთი სემესტრით (2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი), რათა დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებს მისცემოდათ საშუალება, პირობების გაუარესების გარეშე, დაესრულებინათ საგანმანათლებლო პროგრამები.
დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მიმდინარე სემესტრის რეგისტრაცია იყო დაწყებული და მიმდინარე პროგრამაზე სტუდენტები დარეგისტრირებულები იყვნენ, ხოლო მიმდინარე სემესტრი აკადემიური კალენდრის მიხედვით მთავრდებოდა 2025 წლის 18 ივლისს. შესაბამისად სტუდენტების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

**გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო 21:16**
**დასრულების დრო 21:23**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო 240 კრედიტი (314, 18/11/2011) და „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო 120 კრედიტი (120, 12/09/2018) საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე აღნიშნულ პროგრამებზე სწავლის გააგრძელების უფლების მინიჭების საკითხი.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„საჯარო მმართველობის" საბაკალავრო** პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ სწავლის გააგრძელების უფლება იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება (2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით). ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის თარიღით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო** პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ სწავლის გააგრძელების უფლება იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე და მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება (2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით). ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის თარიღით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**
"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2025 წლის 18 ივლისის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**მეორე საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) **"სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით"** ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა, აცილების საფუძვლებს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**
**სხდომის** თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხების ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს განსახილველ საკითხთან მიმართებით.
**სხდომის** თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საკითხთან მიმართებით. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს განსახილველი საკითხის ირგვლივ.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია ორივე საკითხის ირგვლივ.**
საერთაშიროსო ექსპერტის პოზიცია საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო თარჯიმანმა ლაშა მაჭარაშვილმა, წერილში აღნიშნულია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლია, ,,სტარტეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით’’ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა შეფასების პროცეში დაიწყო 2024 წლის სექტემბერში, ხოლო ვიზიტი განხორციელდა ნოემბრის თვეში. პროგრამა შემუშავდა გრენობლის უნივერსიტეტთან ერთად და მისი შემუშავება დასრულდა 2024 წელს. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 138 კრედიტს, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად, პირველი წელი 63, ხოლო მეორე წლისთვის 75 კრედიტი. პროგრამის სასწავლო კურსებს, გრენობლის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნეს სკოლის პერსონალი ერთობლივად გაუძღვება. 78 კრედიტი განაწილებულია კავკასიის უნივერსიტეტზე, ხოლო 60 კრედიტი გრენობლზე. კავკასიის უნივერსიტეტს უკვე აქვს ერთობლივი პროგრამა გრენობლის მენეჯმენტის სკოლასთან, რაც მიანიშნებს ორ საგანმანთლებლო დაწესებულების წარმატებულ თანამშრომლობაზე. შეფასებულ პროგრამას გააჩნია როგორც ბევრი ძალიან ძლიერი, ისე გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებს. ძლიერ მხარეებს შორის შესაძლებელია გამოიყოს, ხარისხის გაზიარების კულტურა და ბრენდინგი, როგორც ძალიან კარგი რეპუტაციის მქონე დაწესებულებისა, ბიზნეს განათლების ნაწილში. ასევე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა. სხვა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აფასებენ შესაძლებლობას, რომ ისწავლონ ორ უნივერსიტეტში,

გაიარონ სასწავლო კურსები როგორც ქართველ, ისე ფრანგ პროფესორებთან ერთად, თუმცა ამავდროულად დარჩნენ საქართველოში, თავიან ოჯახებთან და სწავლასთან ერთად შეიძინონ სამუშაო გამოცდილება. თუმცა, ამავდროულად არსებობს გამოწვევები, რომელზედაც უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს. წარმოდგენილი რეკომენდაციები ეხება 1.4., 1.5. და 4.2. კომპონენტებს. ექსპრეტთა ჯგუფმა განიხილა მოსაზრება სამაგისტრო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით და შეთანხმა 2.1.1. რეკომენდაციის ამოღებაზე, ხოლო რეკომენდაციები 2.1.2, 2.1.3, 2.1.4. გადავიდა რჩევაში, საბოლოო 2.1. კომპონენტის შეფასება გახდა შეესაბამება პროგრამა სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეინარჩუნა თავისი პოზიცია დანარჩენ რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით. შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან შემდეგნაირია: პირველი სტანდარტი ,,მეტწილად შესაბამისია'' დადგგენილ მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ოთხივე სტანდარტი სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ბორის ლეჟავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ხორციელდებოდა 2004 წლიდან და ის იყო ერთ-ერთი ყველაზე ძველი, წარმატებული, ორმაგი ხარისხის პროგრამა რომელიც არსებობდა ქართულ საგანმანთლებლო სივრცეში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო დუალურ სტატუსით ავტორიზებულ რეჟიმში, წარმოდგენილი პროგრამა პირველი იყო საქართველოში სამაგისტრო მიმართულებით რომელმაც დაიწყო ორმაგი პროგრამის განხორციელება. ბოლო წლების განმავლობაში, წარმოდგენილი პროგრამა ,,financianl time'' რეიტინგში ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას, ბოლო წლები 20 ადგილით დაწინაურდა პროგრამა და მსოფლიოში 47 ადგილზეა მსოფლიო მასშტაბით ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებს შორის. გასათვალისწინებელია ასევე საერთაშორისო აკრედიტაციის მოთხოვნები, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის პირობები და ასევე ადგილობრივი აკრედიტაციის სტანდარტები. მაგალითად ისეთი საკითხები, როგორიცაა პროგრამის სტრუქტურის წარმოდგენა ისე, როგორც ადგილობრივი პროგრამის სტრუქტურის წარმოდგენა ხდება, ამ მოცემულ მომენტში შესაძლებელი არ არის. მან ასევე განმარტა, რომ დოკუმენტაციის შედგენის დროს იხელმძღვანელეს დაწესებულებაში დამტკიცებული ოფიციალური დანართით, კურიკულუმის საგნობრივი ბადის განაწილებით, ასევე დამატებით ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, რომელიც წინასწარ თანხმდება პარტნიორ უნივერსიტეტთან, კონკრეტული თარიღების მითითებით თუ რომელი მოდულური კურსი როდის იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, რეკომენდაცია რომელიც მიუთითებდა რომ თითქოსდა წინარე ცოდნის გარეშე, არათანმიმდევრულად ეუფლებოდნენ ცოდნას მაგისტრანტები პროგრამაზე არ შეესაბამებოდა რეალობას. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობებს, ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ გარკვეულ კურსებთან მიმართებით, მოხდა ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინება. რაც შეეხება რეკომენდაციას, სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებაში, აღნიშნა, რომ დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის თუ პროექტის ხელმძღვანელი, შესაბამისად მიაჩნია, რომ ექსპერტების მხრიდან გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, თავად ჩანაწერთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი ამოკითხვა მოხდა ისეთნაირად რომ თითქოს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს აქვს შესაძლებლობა იყოს ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის ან პროექტის, აღნიშნული მოცემულობა არ შეესაბამება რეალობას. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა ბორის ლეჟავამ აღნიშნა რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად იყო მითითებული თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო სამაგისტრო ნაშრომის თუ პროექტის ხელმძღვანელი, თუმცა დაწესებულებას შეეძლო საკითხის ნათელსაყოფად, მოეხდინა ინფორმაციის დაზუსტება ჩანაწერში.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში,** წარმოედგინათ კითხვები და მოსაზრებები.
სხდომის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ნარატივის მიხედვით, პირველი სტანდარტი იყო შეფასებული როგორც ,,მეტწილად'', საგულისხმოა, რომ პარტნიორები ჩამოდიან და კითხულობენ ლექციებს ერთ კვირის განმავლობაში, მას აინტერესებდა რა დროს მოიცავდა ინტენსიური კურსი მოცემული კვირის განმავლობაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ რადგან მოცემული პროგრამის სამიზნე აუდიტორია, არის სრული განაკვეთის საშუალო და მაღალ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანები, მათი დატვირთვისგან გამომდინარე, არ არის ტიპური სემესტრული შეხვედრები, ისე როგორც ხდება სხვა სამაგისტრო პროგრამებზე, კრედიტების მოცემულობიდან გამომდინარე საუბარია სრულ დღეზე, პირობითად 30 საათიანი კურსი ნაწილდება 5 დღეზე, რომლიდანაც ორი არ იყო სამუშაო დღე. წინასწარ თანხმდება ჩამომსვლელ პროფესორებთან გრაფიკი, იგივე პრინციპია პარტნიორ უნივერსიტეტში გამგზავრების დროს და იქაც იყო იგივე მოდული. ასევე აღნიშნა, რომ ყოველ მოდულს აქვს თავისი მასალები, რომელიც სტუდენტს თავიანთი პლატფორმის მეშვეობის მიეწოდებათ. სტუდენტებს წვდომა აქვთ როგორც ადგილობრივ ბაზებთან სრულად, ასევე პარალელურად წვდომა აქვთ მთლიან სივრცესთან.
სხდომის თავმჯდომარეს, გოჩა თუთბერიძეს ასევე დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა წინაპირობებთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა, როგორ იყო ეს საკითხი დარეგულირებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ იმ საგნებთან მიმართებაში, რომლებშიც შესაძლებელი იყო პარტნიორ უნივერსიტეტთან და მათ საერთაშორისო შემფასებელთან არ ყოფილიყო დისონანსი, უნივერსიტეტმა დააწესა წინაპირობები. თუმცა, საგულისხმოა, რომ მოდულებს შორის იყო ვადა, თუკი ვერ მიიღო შესაბამისი გამსვლელი ქულა მოდულის საბოლოო შეფასებისას, მას მეორე მოდულის დაწყებამდე შესაძლებლობა ეძლეოდა, გამოცდის კომპონენტის გამოსწორებისთვის. შესაბამისად, ერთი მოდული აუცილებლად ჩახურული ჰქონდა სტუდენტს როდესაც იწყებოდა მეორე მოდული.
საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ერთ-ერთი საგანმანათლებლო ბაზარზე, რომელმაც დაამტკიცა თავისი ეფექტი, სარგებლიანობა და კორპორაციული სამყაროს ლიდერებს შორის საქართველოში ვხედავთ პროგრამის კურსდამთავრებულებს. მას დამაზუსტებელი ჰქონდა კითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, მიკრო და მაკრო ეკონომიკის საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო პირველ სემესტრში სამკრედიტიანი კურსები, მას აინტერესებდა როგორ ხდება სწავლება ერთ სემესტრში, კურსების მიმდინარეობა იყო თანმიმდევრული, თუ პარალელური.
დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ კურსები არ მიმდინარეობდა პარალელურად, ჯერ იყო მიკრო და შემდგომ მაკრო ეკონომიკის სასწავლო კურსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჯღარკავამ დააყენა შუამდგომლობა მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის თარიღით. საბჭომ იმსჯელა და დააკმაყოფილა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
დაწყების დრო: 14:41
დასრულების დრო: 14:51

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) "სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**
,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$- ემუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის და გრენობლის მენეჯმენტის სკოლის (საფრანგეთი) "სტრატეგიული მენეჯმენტის და ლიდერობა ცვლილების გზით" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.

**მესამე საკითხი**: შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"მენეჯმენტის" სამაგისტრო, "ჯანდაცვის მენეჯმ ენტის" სამაგისტრო, "სტრატეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინის ტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო ინგლისურენოვანი და "მენეჯმენ ტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა,** აცილების საფუძვლებს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარმოედგინათ პ ოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, უცხოელი ექსპერტის პოზიცია საბჭოს გააცნო თარჯიმანმა ლაშა მაჭარაშვილმა, წერილში აღნიშნულია, რომ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შეფასების პროცესი მოიცავდა ხუთ მენეჯმენტის პროგრამას. ვიზიტი გაიმართა 2024 წლის 7-9 ოქტომბერს. შეფასების პროცესის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად მიმოიხილა წარმოდგენილი დოკუმენტები, გასაუბრებისას დასვა შეკითხვები და საკითხების ნათელსაყოფად მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. აღნიშნა, რომ ყველა მიგნება ექსპერტებისა, ანგარიშში იყო მოცემული. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამებს გააჩნდათ, როგორც ძლიერი ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები. წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები ხელს შეუწყობდა პროგრამების განვითარებას. პროგრამის ძლიერ მხარეებში უნდა გამოიყოს, უნივერსიტეტის გადაწყვეტილება ხელოვნური ინტელექტის პოლიტიკის დამტკიცებისა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების შესახებ. სწავლის შედეგების განსაზღვრის მეთოდოლოგია და სწავლის შედეგების შეფასების კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგებს და შესაძლებელს ხდის მათი მიღწევის მონიტორინგს. უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა, უნივერსიტეტის მიერ საუკეთესო მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის შეთავაზებული დაფინანსება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოქნილობა სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე საგულისხმოა, რომ მაგისტრანტებისთვის სწავლის ხანგრძლივობა შესაძლებელია იყოს სამ წლამდე, ხოლო დოქტორანტებისთვის ხუთ წლამდე, ამასთან სტუდენტის სტატუსი მთელი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდება. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ ასპექტებთან მიმართებით, კერძოდ: ყველა პროგრამასთან მიმართებით 2.1. კომპონენტის რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში, შესაბამისად აღნიშნული კომპონენტის შეფასება შეიცვალა და მიენიჭა სტატუსი, ,,შესაბამისობაშია'' სტანდარტებთან. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ რჩევას, სასურველია, რომ იგი უფრო გამჭვირვალე გახდეს. რაც შეეხება, 3.2. კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, იგი მოიხსნა ყველა პროგრამისთვის, შეფასება შეიცვალა სტატუსით ,,შესაბამისობაშია'' სტანდარტებთან. რეკომენდაცია 4.2.1. ამოღებულია ზოგადი რეკომენდაციებიდან, თუმცა შენარჩუნდა სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, რადგან ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს მინიმუმ მაგისტრის ხარისხი უნდა ჰქონდეს. ,,ჯანდაცვის მენეჯმენტის'' სამაგისტრო პროგრამისათვის რეკომენდაციები 4.1.1. და 4.1.2. გაერთიანდა და გადავიდა რჩევების კატეგორიაში და შესაბამისად, პროგრამის საერთო შეფასება შეიცვალა და გახდა ,,სრულ შესაბამისობაში'' დადგენილ მოთხოვნებთან. რეკომენდაცია 1.5.2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ბიზნეს სკოლის ადმინისტრაციის ერთეულებს, სახელმძღვანელოების შერჩევის მიმართ, ხოლო რაც შეეხება ,,სტრატეგიული მენეჯმენტის'' კურსს, აღნიშნულია, რომ განკუთვნილია, ამ სფეროს შესახებ სტუდენტებისათვის ყოვლისმომცველი ცოდნის მისაწოდებლად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რეკომენდაციად, რომ ,,სტრატეგიული მენეჯმენტის'' კურსისათვის განისაზღვროს უახლესი ავტორიტეტული და სამაგისტრო დონის შესაფერისი ლიტერატურა, როგორც სავალდებულო. რეკომენდაცია 1.5.3, ამჟამინდელი სილაბუსის ჩარჩო მოითხოვს დამატებითი ლიტერატურის მითითებას, დაწესებულება აღნიშნავს, რომ დამატებითი ლიტერატურა ეხმარება სტუდენტებს სიღრმისეული ცოდნის მიღებაზე დამატებით საკითხებში. შესაბამისად საბჭოს პრეროგატივად ტოვებს ექსპერტთა ჯგუფი, აღნიშნული რეკომენდაციის რჩევებში გადატანის შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაციებითა და რჩევებით გათვალისწინებული ცვლილებები გააუმჯობესებს პროგრამას.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, რომელიც ეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, იგივეა რაც განიმარტა გრენობლის პროგრამის აკრედიტაციის ნაწილში. ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მსხვილი რეკომენდაცია გაცემულ იქნა დამატებით ლიტერატურის ნაწილში, მიაჩნია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სასურველია იყოს რჩევებში. ვინაიდან, მითითებულია სილაბუსებში, რომ საჭიროებიდან გამომდინარე დამხმარე უახლესი ქეისების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიული მართვის სავალდებულო ლიტერატურას და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ლექტორის აკადემიურ თავისუფლებას ეხებოდა საკითხი და მის მიერ იყო შერჩეული კონკრეტული ლიტერატურა, ასევე აღნიშნა, რომ იმავე სახელმძღვანელოს, ახალი გამოცემით ჩანაცვლება, არ ხდება მხოლოდ აკრედიტაციის პერიოდში, ვინაიდან სწავლების დროს უახლესი ლიტერატურის გამოსვლის შემთხვევაში, ლექტორი უთითებს სილაბუსში ცვლილებას, და საბიბლიოთეკო რესურსის შევსება ხდება მითითებული ლიტერატურით. რაც შეეხება საკითხს, მეტი არჩევითი საგნების შეთავაზებას სტუდენტებისათვის მარკეტინგის განხრით, მან განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა კიდევ დამატებითი საგნები ჩადოს პროგრამაში, თუმცა ბოლო წლების პრაქტიკამ აჩვენა სტუდენტების ინტერესების იშვიათობის გამო, მოხდა უკვე არსებული არჩევითი საგნების ამოღება პროგრამიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა ეკატერინე აკობიამ ,,სტრატეგიული საჯარო მმართველობის'' სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია, ,,რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიტანოს ცვლილება დებულებაში, რომლის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს უნდა გააჩნდეთ როგორც პრაქტიკული გამოცდილება, ასევე სულ მცირე მაგისტრის ხარისხი.'' მისი განმარტებით მოცემულ პროგრამასთან მიმართებაში, შეუძლებელია პროგრამაში იყო აკადემიური პერსონალი რომელსაც არ აქვს აკადემიური ხარისხი, რომელიც დასტურდება ასევე აკადემიურ პერსონალის რეესტრის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია. ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს, უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო აღნიშნულ თანამდებობაზე დაწესებულებას აჰყავს ადამიანები შესაბამისი ხარისხის, შესაბამისად შეუძლებელია იყოს პირი ნაშრომის ხელმძღვანელი რომელსაც არ აქვს აკადემიური ხარისხი.
სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ამ ნაწილში სრულად ეთანხმება დაწესებულებას და მიაჩნია, რომ სამაგისტრო პროგრამის ნაწილში შესაძლებელია რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს დოქტორის ხარისხის მქონე პირი, თუ კი იგი აკმაყოფილებს სხვა დადგენილ მოთხოვნებს.
ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის ხელმძღვანელმა თენგიზ ვერულიძემ, აღნიშნა, რომ მცირე გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ არის დოქტორის ხარისხის მქონე პირი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო რჩევა ,,სასურველია ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერა - თითოეული წინაპირობის წონის მითითება ჩარიცხვის საბოლოო გადაწყვეტილებაში მარეგულირებელი დოკუმენტების ბმულის მითითებით'', განაცხადა რომ ჩარიცხვას მითითებულ პროგრამაზე არეგულირებს დებულება, ასევე დეტალურად არის გაწერილი ჩარიცხვის კრიტერიუმები. ამდენად მიაჩნია, რომ გამჭვირვალეა პროცესი. ასევე, მიაჩნია რომ შიდა დაფინანსების საკითხებიც დეტალურად არის წესში გადმოცემული, რომელიც არეგულირებს საკითხებს, თუ ვის შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება პროგრამაში და როგორ შეიძლება მოხდეს ეს.
ექსპერტმა ნანული ოქრუაშვილმა პირველი სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსში ,,სტრატეგიული მენეჯმენტში'' ძირითად

სახელმძღვანელოს, განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო ,,რობერტ გრინის'' სახელმძღვანელო რომელიც სრულად ვერ ასახავდა სასწავლო კურსის შინაარსს. შესაბამისად რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსის შინაარსისა და საფეხურის გათვალისწინებით შესაბამისი სახელმძღვანელოს მითითებას. რაც შეეხება დამატებით ლიტერატურის თაობაზე გაცემულ რეკომენდაციებს აღნიშნა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 40 სასწავლო კურსიდან, 22-შია მხოლოდ დამატებითი ლიტერატურა. რაც შეეხება რეკომენდაციას წინაპირობებთან და არჩევითობასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ზოგადად უკავშირდება ეს მოცემულობა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას. სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით ნანული ოქრუაშვილმა განმარტა, რომ როდესაც ერთი კურსი იკითხება, ორ სამაგისტრო პროგრამაზე ერთი მიზნით, სტრუქტურით, ლიტერატურით, შეუძლებელია ერთ პროგრამაში მას ჰქონდეს სამი დაშვების წინაპირობა, როდესაც სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არ იყო წინაპირობა, ან მხოლოდ ერთი კურსი იყო განსაზღვრული.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა ციური დურულმა დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები იყო მხოლოდ ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, ერთ-ერთ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ განახლდეს სასწავლო გეგმა, მაშინ როდესაც აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ სავალდებულო კურსები, რომელიც სწავლის შედეგებზე გადიოდა, შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან, შესაბამისად მას აინტერესებდა რა იგულისხმებოდა სასწავლო გეგმის განახლებაში. ასევე, აღნიშნა, რომ წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემული იყო ორი რეკომენდაცია. ასევე, 1.5.5. რეკომენდაციაში მითითებაა გაკეთებული ლიტერატურის განახლებაზე, ასევე 1.5.2. ში აღნიშნულია ლიტერატურის განახლება, ასევე აღწერილობით ნაწილში მითითებულია რომ უახლესი ლიტერატურაა პროგრამებზე.
ექსპერტმა ნანული ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადად უახლესი ლიტერატურაა, თუმცა საუბარია ექსპერტებისაგან ,,სტრატეგიული მენეჯმენტის'' კურსის ლიტერატურაზე. რაც შეეხება აღწერას, საუბარია რომ ძირითადად არის, თუმცა სასურველია განახლება. კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საუბარია პროგრამებსა და დისციპლინებში კორექტირების შეტანაზე. აქვე აღნიშნა, რომ გეგმაში ცვლილებების შეტანას, ნაგულისხმევი იყო ექსპერტებისაგან, რომ სასწავლო კურსებში მითითებული დაშვების წინაპირობები არ იყო თანმიმდევრული და ზოგიერთ შემთხვევაში არაერთგვაროვნად დალაგებული, მაგალითად ერთ პროგრამაში სილაბუსი იყო უფრო მეტი საგნით წარმოდგენილი, ხოლო მეორე პროგრამაში გაცილებით მცირე საგნით წარმოდგენილი, დეტალურად მითითებული იყო აღწერილობით ნაწილში. მან ასევე განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა მარკეტინგის სპეციალობის კურსებს.
საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის კურსთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას მიცემდა სხვა ფორმულირებას, რომ მოსაყვანი იქნებოდა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო კურსი. მიაჩნია რომ გასაახლებელი იყო მოცემული კურსი. ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა რომ დაკონკრეტებულიყო ფორმულირება და კითხვის ნიშნები აღარ იქნებოდა მოცემულ საკითხზე.
საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევის დიზაინი ისწავლება სონდერისი სახელმძღვანელოდან, და მიაჩნია, რომ არსებობს სხვა უმჯობესი სახელმძღვანელო კვლევის დიზაინის სწავლებისათვის, შესაბამისად მიაჩნია, რომ კურსის გასაუმჯობესებლად სასურველი იქნებოდა კვლევის დიზაინი ისწავლებოდეს სხვა სასწავლო ლიტერატურით, დაწესებულების მიერ არჩეულით, რომელიც უშუალოდ ესადაგება კვლევის დიზაინის საკითხებს.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც სილაბუსზე მუშაობდნენ, ფიქრი იყო მკვლევრის მომზადების შესახებ. ასევე

მსჯელობდნენ იქნებოდა თუ არა სასწავლო რესურსი დაძლევადი მენეჯერებისთვის, ხომ არ იყო ფოკუსირებული სხვა კონტინგენტისთვის. მათ გადაწყვიტეს , რომ კვლევის დიზაინი იქნებოდა ,,შემკვრელი'' სასწავლო კურსი. ასევე აღნიშნა, რომ იფიქრებდნენ საბჭოს წევრის რჩევაზე და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებდნენ მას.
სხდომის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს 2.3.1 რჩევასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა რას გულისხმობდნენ გაცემულ რჩევაში. ექსპერტმა ნანული ოქრუაშვილმა აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტის როლის წამოწევაზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იყო დამატებით დოკუმენტად შემუშავებული, რომელიც საუკეთესო პრაქტიკად იქნა მიჩნეული და შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის საკითხი არ იგულისხმებოდა გაცემულ რჩევაში, ასევე ვიზიტამდე პერიოდში იყო კონფერენცია განხორციელებული სტუდენტებისთვის, ასევე ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის და პერსონალისთვის აკადემიური წერის ცენტრის მიერ ორგანიზებული.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:43**
**დასრულების დრო: 16:05**

**დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჯღარკავამ დააყენა შუამდგომლობა კლასტერით განხილული პროგრამების მიმართ გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის თარიღით.**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"მენეჯმენტის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$- ემუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"მენეჯ მენტის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო,** საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$- ემუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"ჯანდ აცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"სტრატეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო** საგანმანა თლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$- ემუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"სტრა ტეგიული საჯარო მმართველობის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$- ემუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"ბიზნ ესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო ინგლისურენოვან** ს აგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო** საგანმანათლებ ლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე 2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$- ემუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის **"მენეჯ მენტის" ინგლისურენოვან სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.**
**შესვენების დაწყების დრო - 16:07**
**შესვენების დასრულების დრო - 16:26**

**მეოთხე საკითხი**: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წარმოედგინათ მათი პოზიცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.**
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო **„ბიზნესის ადმინისტრირების“** საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მისი თქმით ვიზიტი შედგა სექტემბერში. პროგრამები პირველ, მეორე და მეხუთე სტანდარტებში შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეთან“. პროგრამებთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:
,,რეკომენდებულია გააძლიეროთ კავშირი მონაცემთა შეგროვებასა (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი) და სამიზნე ნიშნულებს შორის იმისთვის, რომ ყველა სწავლის შედეგი შეფასდეს გაზომვადი და გამჭვირვალე კრიტერიუმებით’’.
,,რეკომენდებულია გაზარდოთ არაპირდაპირი შეფასების მეთოდების სიხშირე და სიღრმე, მათ შორის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, რათა უზრუნველყოთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ასახავდეს რეალური ბაზრის საჭიროებებს.’’
,,რეკომენდებულია გააძლიეროთ აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერება ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების შესახებ და გაზარდოთ ამ რესურსების გამოყენების მოთხოვნები შეფასებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისას.’’
,,რეკომენდებულია შეაფასოთ სტუდენტები სილაბუსში მითითებული მეთოდების გამოყენებით.’’
,,რეკომენდებულია გააძლიეროთ აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმების შესაძლებლობები და პრაქტიკა.’’
,,რეკომენდებულია გაზარდოთ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი, რათა შეესაბამებოდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სამაგისტრო თემის სათაურში გამოიკვეთოს კვლევითი პრობლემა.’’ ,,რეკომენდებულია მოამზადოთ ლექტორები ონლაინ სასწავლო პლატფორმების ეფექტური გამოყენებისთვის.’’
,,რეკომენდებულია დაამყაროთ პარტნიორული ურთიერთობები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, რაც სტუდენტებისთვის შექმნის მეტ შესაძლებლობას გაცვლით პროგრამებში ან საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის.’’

,,რეკომენდებულია გადახედოთ სტუდენტთა გამოხმაურების პროცესს სტუდენტების უკუკავშირის სრულად ანონიმური გამოკითხვის განხორციელებით.'' ,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ ლექტორებმა შეძლონ ნიშნების პირდაპირ ატვირთვა სტუდენტთა პორტალზე რეგულარული უკუკავშირისთვის, რაც გააუმჯობესებს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სტუდენტთა კონფიდენციალურობას.''

,,რეკომენდებულია აღმოფხვრათ შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ხელმძღვანელების დატვირთვაში - ამჟამად თითოეულ ხელმძღვანელზე მოდის 7.16 სტუდენტი, მაშინ როცა პროგრამის წესის თანახმად, ერთ ხელმძღვანელს არ უნდა ჰყავდეს 5 სტუდენტზე მეტი. ამ საკითხის შესაბამისობაში მოყვანა გააუმჯობესებს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის ეფექტურობას.'' ,,რეკომენდებულია გააფართოვოთ ხელმისაწვდომობა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე და ლიტერატურაზე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, რათა გაუმჯობესდეს მათი კვლევის ხარისხი და აკადემიური განვითარება.''

,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ თანამშრომლობის ხელშეკრულებები იყოს ორმხრივად სასარგებლო.''

,,რეკომენდებულია გააფართოვოთ ტრენინგებისა და განვითარების პროგრამა აფილირებული, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.'' ,,რეკომენდებულია გააძლიეროთ საბიბლიოთეკო რესურსები ელექტრონული მასალების უფრო ფართო სპექტრისა და უფრო სრულყოფილ მონაცემთა ბაზებზე წვდომის ჩათვლით, როგორიცაა EBSCO და/ან Web of Science.''

,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ კამპუსი იყოს ხელმისაწვდომი და უსაფრთხო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, შესაფერისი გადაწყვეტილებების გამოყენებით.''

,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ განათების გამართული მუშაობა ყველა აუდიტორიაში.''

,,რეკომენდებულია შეიძინოთ ვირტუალური სასწავლო გარემო სწავლებისა და სწავლის მხარდასაჭერის მიზნით.''

,,რეკომენდებულია გაზარდოთ ან განავითაროთ დამატებითი შემოსავლის წყაროები, რაც საშუალებას მისცემს ინსტიტუციურ ინვესტიციებს გააუმჯობესოს სტუდენტთა გამოცდილება.''

,,რეკომენდებულია შეაგროვოთ და გააანალიზოთ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია თვითშეფასების ანგარიშის ფორმითა და მისი დანართით.'' ,,რეკომენდებულია შეიმუშავოთ ყოველწლიური სამოქმედო გეგმები და მოამზადოთ ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშები, რომლებიც განხილული და შეფასებული იქნება ინსტიტუციის მმართველი ორგანოების მიერ და უზრუნველყოთ მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.''

,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ განხორციელდეს პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასება უცხოელი აკადემიური პერსონალისა და პროფესიონალების მიერ.''

,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ სტუდენტები ანონიმურად აფასებდნენ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს თითოეული კურსის დასრულებისას.''

,,რეკომენდებულია თანმიმდევრულად და მყარად განახორციელოთ არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები პროგრამების სწავლის შედეგების შესაბასებლად.''

,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამებოდეს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიკატორს. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის თავისუფალ კომპონენტში, სავალდებულო კურსებთან ერთად, უნდა იყოს არჩევითი კურსებიც.'' ,,რეკომენდებულია შეაფასოთ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.''

კონკრეტულად პროგრამებთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაციები, კერძოდ, **საბაკალ ავრო** პროგრამასთან მიმართებით იყო შემდეგი რეკომენდაციები:

,,რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ ჩართოთ ბიზნესის ფუნქციური სფეროები, რათა უკეთესად მოერგოს დარგობრივ კრიტერიუმებს''.
,,რეკომენდებულია შეიტანოთ თვისებრივი მეთოდები, რაოდენობრივ მეთოდებთან ერთად, პროგრამის პრობლემის გადაჭრის ასპექტებში.''
,,რეკომენდებულია გადაიტანოთ ბიზნეს რისკები და დაზღვევა არჩევითი კურსებიდან სავალდებულო კურსებში, რათა უზრუნველყოთ ყველა სტუდენტის მიერ რისკების მართვის აუცილებელი უნარების განვითარება, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე ბიზნეს პროფესიონალებისთვის.''
,,რეკომენდებულია გააერთიანოთ დაბეგვრისა და საბაჟო საქმის კურსები ერთ, თანმიმდევრულ კურსში, რომელიც ფოკუსირებული იქნება დაბეგვრისა და საბაჟო მენეჯმენტზე, რადგან ამ საგნების შინაარსი მნიშვნელოვნად ფარავს ერთმანეთს. ეს გაამარტივებს სასწავლო პროგრამას და გააუმჯობესებს შინაარსის მიწოდებას. ეს გაამარტივებს სასწავლო პროგრამას და გააუმჯობესებს შინაარსის მიწოდებას.''
,,რეკომენდებულია პროექტის მართვა გახადოთ სავალდებულო, რაც ასახავს მის პოზიციას, როგორც ფუნდამენტურ უნარს ბიზნეს სამყაროში. მისი არჩევითი კურსიდან სავალდებულო კურსად გადატანა უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტმა განივითაროს ბიზნეს პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვისთვის საჭირო უნარები.''
,,რეკომენდებულია გააერთიანოთ მიწოდების ჯაჭვის მართვა და ლოგისტიკა, რადგან ეს ორი კურსი მოიცავს მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხებს. გააერთიანეთ ისინი ერთ ყოვლისმომცველ კურსად, რაც უზრუნველყოფს უფრო ინტეგრირებულ მიდგომას ოპერაციებისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის გასაგებად.
,,რეკომენდებულია გადაიტანოთ საქართველოს ისტორია არჩევით კურსად, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორია ღირებულია კულტურული პერსპექტივიდან, ის პირდაპირ არ უწყობს ხელს ძირითადი ბიზნეს კომპეტენციების განვითარებას. მისი გადატანა არჩევით სტატუსში მისცემს სტუდენტებს მეტ მოქნილობას და ამავე დროს ისინი შეძლებენ მთელი ყურადღება გადაიტანონ ძირითად ბიზნეს საგნებზე.''
,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ სასწავლო მასალები, განსაკუთრებით ძირითადი სახელმძღვანელოები, განახლდეს და შეივსოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნებითა და რესურსებით. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები გაეცნონ ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებს, რაც მნიშვნელოვანია მათი სწავლისა და მომავალი კარიერისთვის.''
,,რეკომენდებულია გაათანაბროთ ინგლისური ენის სწავლება B2 დონის მოთხოვნილ კომპეტენციასთან ისეთი სახელმძღვანელოებისა და მასალების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება მოსალოდნელ ენობრივ შედეგებს. მაგალითად, არ გამოიყენოთ Pre-Intermediate დონის წიგნები B1 დონის სწავლებისთვის და Intermediate დონის წიგნები B2 დონის სწავლებისთვის.''
,,რეკომენდებულია უზრუნველყოთ, რომ სტუდენტებმა დაასრულონ ყველა ძირითადი (სპეციალობის) საგანი სანამ დაიწყებენ პრაქტიკას ან მუშაობას საბაკალავრო ნაშრომზე. ეს საშუალებას მისცემს მათ გამოიყენონ პროგრამის განმავლობაში მიღებული ფუნდამენტური ცოდნა პრაქტიკულ და კვლევით კონტექსტში.''
,,რეკომენდებულია შეიმუშავოთ და დანერგოთ რუბრიკები ზეპირი გამოცდებისთვის და უზრუნველყოთ ამ შეფასებების ჩაწერა. ეს გააუმჯობესებს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს მტკიცებულებებს სტუდენტთა დავების ან აპელაციის შემთხვევაში.''
,,რეკომენდებულია მკაფიოდ ჩართოთ კვლევითი უნარების განვითარება შესაბამისი კურსების სილაბუსებში, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმვა, დროის მართვა და მარკეტინგი, რათა უზრუნველყოთ სტუდენტების სათანადო მომზადება აკადემიური კვლევისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისთვის."
,,რეკომენდებულია დააკონკრეტოთ პროგრამის წინაპირობებში და სხვა დამატებით მოთხოვნებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მეოთხე საგამოცდო საგანი, რაც შეიძლება

დაკავშირებული იყოს ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმებასთან; ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შემთხვევაში, ქართული ენის ცოდნის შემოწმების მოთხოვნები; ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მიღებისთვის განსაზღვრული ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნები."
რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას გაცემული იყო რეკომენდაციები:
"რეკომენდებულია გააძლიერთ თვისებრივი მეთოდების გამოყენება რაოდენობრივ ფინანსურ ანალიზთან ერთად."
,,რეკომენდებულია გააძლიეროთ აქცენტი მულტიდისციპლინურ და უცხო გარემოში დარგობრივი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად პროექტების მართვაზე."
,,რეკომენდებულია შესთავაზოთ სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა, სავალდებულო კურსად, რომელიც მიგვიყვანს შესაბამის კვალიფიკაციამდე 'ანალიზის' დონეზე, ან მოახდინეთ შესაბამისი თემების ინტეგრირება საგანში 'ლიდერობა".
,,რეკომენდებულია გადააკეთოთ პროგრამის სწავლის შედეგები ბლუმის განახლებული ტაქსონომიის საფუძველზე გაზომვადი ზმნების გამოყენებით. ეს საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ და ობიექტურად შევაფასოთ, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა სწავლის შედეგებს."
,,რეკომენდებულია დანერგოთ სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმები, სადაც სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროგრამის შეფასებაში და უზრუნველყავით, რომ მათი მოსაზრებები გათვალისწინებული იყოს პროგრამის განვითარებაში."
,,რეკომენდებულია გაითვალისწინოთ თავისუფალი კურსები პროგრამის სტრუქტურაში, რათა სტუდენტებს მიეცეთ მეტი მოქნილობა და ინტერდისციპლინური სწავლის შესაძლებლობები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად".
,,რეკომენდებულია გადახედოთ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებს, რათა უზრუნველყოთ, რომ ყველა სწავლის შედეგი იყოს გაზომვადი, გამოიყენეთ მოქმედებაზე ორიენტირებული ზმნები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რისი მიღწევა მოეთხოვებათ სტუდენტებს. ეს გააუმჯობესებს შეფასების მექანიზმს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ შეფასებას."
,,რეკომენდებულია წაახალისოთ სტუდენტების მეტი ჩართულობა სასწავლო პროგრამის შეფასებაში, განსაკუთრებით რეგულარული უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით, როგორიცაა გამოკითხვები ან ფოკუს ჯგუფები. ეს დაეხმარება პროგრამას უკეთ უპასუხოს სტუდენტებისა და ბაზრის საჭიროებებს."
,,რეკომენდებულია განაახლოთ მოძველებული მასალები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნებითა და რესურსებით. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები სწავლობენ ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს ტენდენციებსა და ინოვაციებს, რაც მნიშვნელოვანია აღმასრულებელ დონეზე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისთვის".
,,რეკომენდებული უზრუნველყოთ, რომ ინგლისური ენის კურსები შეესაბამებოდეს მაგისტრატურის სტუდენტებისგან მოსალოდნელ B2 დონის კომპეტენციას. მოერიდეთ საშუალო (Intermediate) დონის მასალების გამოყენებას B2 დონის შინაარსის სწავლებისას, რადგან ეს არ ასახავს ბიზნეს კომუნიკაციების მაღალი დონისთვის საჭირო ენობრივ კომპეტენციას,,
,,რეკომენდებულია შეცვალოთ სწავლების მეთოდები, რათა მეტი აქცენტი გაკეთდეს უნარების განვითარებაზე, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღება, კრიტიკული ანალიზი და ლიდერობა. სამაგისტრო პროგრამამ უნდა მოიცვას მეტი შემთხვევის განხილვა, სიმულაციები და რეალური პრობლემების გადაჭრის სავარჯიშოები, რათა მოამზადოს სტუდენტები აღმასრულებელი პოზიციებისთვის."
,,რეკომენდებული უზრუნველყოთ, რომ ყველა ძირითადი (სპეციალობის) საგანი დასრულებული იყოს, სანამ სტუდენტები დაიწყებენ პრაქტიკას ან სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო თეორიული საფუძველი, სანამ გამოიყენებენ თავიანთ ცოდნას პრაქტიკულ და კვლევით სამუშაოში".

,,რეკომენდებულია შექმენით სტანდარტიზებული რუბრიკები ზეპირი გამოცდებისთვის და დააწესოთ ამ შეფასებების ჩაწერის ვალდებულება. ეს გააუმჯობესებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს არსებობდეს დოკუმენტაცია სტუდენტთა საჩივრების ან პრეტენზიების შემთხვევაში.''
,,რეკომენდებულია მკაფიოდ გადმოსცეთ სპეციალობის გამოცდის მოთხოვნები.“ ,,რეკომენდებულია შეიმუშავოთ და გამოაქვეყნოთ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დეტალური წინაპირობები.''
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან მიიღო უკუკავშირი, რომლის საფუძველზეც მათ შეიტანეს გარკვეული ცვლილებები დასკვნაში. მან ასევე დასძინაა, რომ პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს რეგიონში.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, თემურ ტუნაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. მან აღნიშნა, რომ ეთანხმება გაცემულ რეკომენდაციებს და მზაობას გამოხატავს დაწესებულება მათ შესასრულებლად, რაზე მუშაობაც უკვე დაწყებული აქვთ. მისი თქმით, ისინი გაეცნენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და ისე ჩამოაყალიბეს მიდგომა. მან ასევე, აღნიშნა რომ მიმდინარე სემესტრში ამოქმედდა ელექტრონული ჟურნალი. მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ჩართულობით გაიზარდა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. გამოცხადებული იყო აკადემიური პერსონალის კონკურსი, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის ყველა პროგრამას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებდა აკადემიური პერსონალის რაოდენობას და თანაფარდობას მოწვეულ პერსონალთან მიმართებით, რათა ამ მხრივ შესრულებულიყო რეკომენდაცია. მისივე თქმით, ასევე დაწყებულია მუშაობა იმ სილაბუსების გადახედვაზე, რომელიც მითითებული იყო რეკომენდაციაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა სონია ჩეჩელაშვილმა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციების მიღებისთანავე დაიწყეს პროგრამის გაუმჯობესება. ისინი სრულად იზიარებენ რეკომენდაციებს და რჩევებს.
2.1. სტანდარტში მითითებულია, რომ დაწესებულებამ უნდა გაათავისუფლოს ბოლო სემესტრი საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის შესასრულებლად, საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული იქნა. რაც შეეხება სამაგისტრო ხელმძღვანელების სტუდენტებთან მიმართებით განსაზღვრას, ტექნიკურად დაშვებული იყო შეცდომა, მაქსიმუმ სამი მაგისტრანტი იყო ერთ ხელმძღვანელზე და არა შვიდი მაგისტრანტი. მან ასევე აღნიშნა, რომ უცხოენოვან (ჰერეთიდან) სტუდენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ირიცხებოდნენ პროგრამაზე და არ იცოდნენ ქართული ენა, ინსტიტუციას ჰქონდა დამატებით მეოთხე გამოცდა, რითაც სტუდენტი შეძლებდა დაეძლია წარმოდგენილი პროგრამა. ამ ეტაპზე ჰერეთიდან აღარ შემოდიოდნენ სტუდენტები, შესაბამისად მეოთხე გამოცდა აღარ იყო აქტუალური.
დაწესებულების წარმომადგენელი ლაშა ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად იზიარებს გაცემულ რეკომენდაციებს და უკვე მუშაობს მათ შესასრულებლად.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი ვასილ კიკუტაძე მიესალმა დაწესებულებას და ექსპერტებს, მას რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვა ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ,,რეკომენდებულია შეაფასოთ სტუდენტები სილაბუსში მითითებული მეთოდების გამოყენებით'' შესაბამისად, მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები მასში?

ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია გულისხმობდა მოცემულობას, რომ რაც პრაქტიკაში კეთდება ის უნდა ემთხვეოდეს სილაბუსში ასახულ მოცემულობას.
საბჭოს წევრს ასევე კითხვა ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების გამოკითხვის ანონიმურობის დაცვას, მას აინტერესებდა რა ფორმით ხდებოდა ამ საკითხის დარეგულირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ია შალამბერიძემ აღნიშნა, რომ დამტკიცებული იყო გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვა ანონიმური იყო. მან განაცხადა, რომ სასწავლო მოდულებთან დაკავშირებით ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდებოდა გამოკითხვები, ხოლო რიგი გამოკითხვების ჩატარება ხდებოდა ელექტრონულად.
სტუდენტმა ექსპერტმა ანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კონკრეტულად ხდებოდა საკლასო პროცესში გამოკითხვები და იცოდა თავად ლექტორმა რომელი სტუდენტი რა შეფასებას აკეთებდა და ასევე, ფორმებზე აღნიშნული იყო სტუდენტის სახელი და გვარი.
ასევე კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა საბჭოს წევრს ექსპერტებთან, მან აღნიშნა, რომ ორი რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია გააძლიეროთ საბიბლიოთეკო რესურსები ელექტრონული მასალების უფრო ფართო სპექტრისა და უფრო სრულყოფილ მონაცემთა ბაზებზე წვდომის ჩათვლით, როგორიცაა EBSCO და/ან Web of Scienc’’e. ასევე, მეორე რეკომენდაცია ,,რეკომენდებულია გააფართოვოთ ხელმისაწვდომობა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე და ლიტერატურაზე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, რათა გაუმჯობესდეს მათი კვლევის ხარისხი და აკადემიური განვითარება.;’’ მას აინტერესებდა, ორივე იდენტური შინაარსის ხომ არ იყო?
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად იდენტური შინაარსის მქონე რეკომენდაციებია, საგულისხმოა რომ მოცემული საკითხი დაწესებულების სუსტი მხარეა და საჭიროებს სიღრმისეულ გამოსწორებას.
საბჭოს წევრ გიორგი ღაღანიძეს კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, მას აინტერესებდა რა დრო დასჭირდებოდა ინსტიტუციას წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად?
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია იყო, რომ ერთი წლის განმავლობაში შეძლებდა რეკომენდაციების გამოსწორებას, თუმცა ექსპერტი უფრო მეტ დროს დაასახელებდა ვიდრე ერთი წელია.
საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს კითხვა ჰქონდა ექსპერტთან, მას აინტერესებდა რამ განაპირობა სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია, რომ თავისუფალი კურსები ყოფილიყო პროგრამაში გათვალისწინებული?
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს მარკეტინგის ან მენეჯმენტის მიმართულებით, შესაბამისად მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სასურველი მიმართულებით ცოდნის გაღრმავების.
საბჭოს წევრ ციური დურულს კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, ლექტორების მხრიდან შეფასებების ელ. სისტემაში ატვირთვასთან დაკავშირებით, შესაბამისად მას აინტერესებდა გაცემულ რეკომენდაციას ხომ არ ჰქონდა რჩევის ბუნება? მას ასევე აინტერესებდა, სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით საქართველოს ისტორიის ნაწილი, რატომ მიაჩნდათ ექსპერტებს რომ სასურველი იქნებოდა არჩევითი ყოფილიყო კონკრეტულად ეს კურსი?
ექსპერტმა ეკა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ პედაგოგები ნაკლებად იყვნენ ჩართულები ტექნიკური საშუალებებით მართვის პროცესში. ასევე, არ ხდებოდა ოპერატიულად სტუდენტების ინფორმირება ქულებთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ნაწილს, მან აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან მიმართებით იყო გაცემული ეს რეკომენდაცია, რომ შესაძლებელია სხვა სასწავლო კურსის ფარგლებში იყოს წარმოდგენილი, ასევე საგულისხმოა რომ შესაძლებელია იყოს თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსი.
სონია ჩეჩელაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეფასებების ატვირთვის ნაწილი უკვე

გამოასწორა, შეძენილ იქნა პროგრამა და ლექტორები უკვე თავად ტვირთავდნენ ქულებს. თემურ ტუნაძემ აღნიშნა, რომ რაც შეეხება საქართველოს ისტორიის კურსს, შესაძლებელია თავისუფალი კომპონენტების რაოდენობა გაიზარდოს კრედიტებში და იქ იყოს ასახული ეს საგანი.

საბჭოს წევრ ნინო ჭალაგანიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მას აინტერესებდა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერის მექანიზმები დაწესებულების მხრიდან. ი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა თემურ ტუნაძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა მინიმუმ ერთ მაღალრეიტინგულ რეცენზირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებას. თუ კი ისეთი ჟურნალი იქნება სადაც თანხაა გადასახდელი, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამას.

საბჭოს წევრს აკაკი ხელაძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ელექტრონულ ჟურნალთან დაკავშირებით, აღნიშნული იყო საპილოტე რეჟიმში თუ მოხდა შეძენა უნივერსიტეტის მხრიდან? მას ასევე აინტერესებდა სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა თემურ ტუნაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იყო თოთხმეტი სერვისი. ელექტრონული ჟურნალი იყო საპილოტე რეჟიმში ერთ წელი, რათა პერსონალი, ასევე სტუდენტები, კარგად ყოფილიყვნენ გათვითცნობიერებული მასში, ტრენინგების დახმარებით. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, როგორც წესი, დგებოდა ჯგუფი, რომელიც ახდენდა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შემუშავებას. მისი თქმით, როგორც კი საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, უსდ დაიწყებდა რეკომენდაციების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც გრძელვადიანი პროცესი არ იყო.

სახდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები კარგად ფორმულირებული იყო, რაც არ ითქმოდა იგივე სამაგისტრო პროგრამის ნაწილში. ვინაიდან მოცემული იყო ზევრი აქტიური ზმნა, რაც გააძნელებდა სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგის შეფასებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ტერმინოლოგიებს. ასევე ექსპერტების მიმართ აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტში მითითებული იყო რეკომენდაციები, რომელიც არ შეესაბამებოდა უშუალოდ კომპონენტს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:38**
**დასრულების დრო: 19:06**

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის **"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,

მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3, მე-$3^3$ და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, $27^9$ მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის **"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით, 2027 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის **"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3, მე-$3^3$ და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, $27^9$ მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის **"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით, 2027 წლის 28 თებერვლამდე.

**სხდომაზე გამოცხადდა შესვენება**
**შესვენების დაწყების დრო 19:07**
**შესვენების დასრულების დრო 19:21**

**მეხუთე საკითხი**: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის **"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო** და **„საჯარო მმართველობის" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**√ არა**

